



MES 3 23 0001721507



15/12/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 01. 12. 2023

სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 17:08 სთ

საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი

საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27²-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის“ ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - **საბჭოს თავმჯდომარე**;
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე**;
3. **რატი რატიანი** - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის“ საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი**;
4. **ქეთევან ზურაბიძე** - სსიპ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
5. **მამუკა ხუსკივაძე** -სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.
6. **მარინე მაისურაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
7. **ერმილე მესხია** - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

8. ლევან ნიკოლეიშვილი - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;
9. ნინო ლალანიძე - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
10. ქეთევან ქუთათელაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
11. ლაშა ჩხარტიშვილი - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
12. თინათინ ჭაბუკიანი - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
13. გურანდა ჭელიძე - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
14. ნინო ბაქრაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
15. ნინო ჭალაგანიძე - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
16. ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
17. თამარ სირაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

სახელი, გვარი	სტატუსი
გვანცა ძიძიგური	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ვახტანგ ლეჟავა	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	რექტორი	I, II, III
2	მარინა ქარჩავა		პრორექტორი სასწავლო პროცესის მართვის საკითხებში	I, II, III
3	ანკა თაბუკაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I, II, III
4	მარიამ მოქია			I, II, III

			ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი	
5	ირინა პოპიაშვილი		ვიზუალური ხელოვნების, არქიტექტურისა და დიზაინის სკოლის დეკანი	I, II, III
6	ჯესი ვოგლერი		არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	I, II, III
7	მაიკლ სონდერსი		შენობის სისტემების ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	I, II, III

აკრედიტაციის ექსპერტები:

N	სახელი, გვარი	საკითხი
1	კოსტას მანტზალოსი	I
2	ლევან სილაგამე	I
3	ნინო სანადირაძე	I
4	ნინო პატარაია	I
5	ნინო ხაბეიშვილი	II
6	გიორგი წანაწყენიშვილი	II
7	ირმა ღარიბაშვილი	III
8	თეა ნარეკლიშვილი	III
9	დიმიტრი ცანავა	III

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "არქიტექტურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

3. შპს თავისუფალი უნივერსიტეტის "შენობის სისტემების ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "არქიტექტურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

3. შპს თავისუფალი უნივერსიტეტის "შენობის სისტემების ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

1. პირველი საკითხი: შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ვიზუალური ხელოვნება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№181, 04.12.2018
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ვიზუალური ხელოვნება და დიზაინი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	შემოქმედებითი ტური
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	სახვითი ხელოვნების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0213 სახვითი ხელოვნება Fine Arts
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	კახა ბენდუქიძის კამპუსი დავით აღმაშენებლის ხეივანი N. 240 თბილისი 0159, საქართველო

15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	
----	---	--

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

საერთაშორისო ექსპერტი, კოსტას მანტხალოსი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტში ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 29 სექტემბერს. მისი თქმით, ვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას დიდი მხარდაჭერა აქვს უნივერსიტეტის მენეჯმენტის და აკადემიური პერსონალის მხრიდან. პოზიტიურად შეფასდა ის ფაქტი, რომ პროგრამის განვითარების პროცესში ჩართული არიან როგორც სტუდენტები, ისე კურსდამთავრებულები. გარდა ამისა, პროგრამაზე გამოიკვეთა მაღალი აკადემიური ხარისხი და ინკლუზიურობა. შესაბამისად, ყველა სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა კითხვა დაუსვა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. მას აინტერესებდა, ჰქონდათ თუ არა უცხოელ ექსპერტებს ქართულ ენაზე შედგენილი სილაბუსების ინგლისურ ენაზე გაცნობის შესაძლებლობა. ცენტრის წარმომადგენელმა, გვანცა ძიმიგურმა განაცხადა, რომ ყველა სილაბუსის თარგმნა არ არის სავალდებულო. საბაკალავრო 15, სამაგისტრო 10, ხოლო სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში 5 სილაბუსი ითარგმნება. გოდერძი ბუჩაშვილმა კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მისი თქმით, სასწავლო კურსს „ანთროპოლოგიის“ სილაბუსში ძირითადი ლიტერატურა არ არის მითითებული. მას აინტერესებდა, რა არის ამის მიზეზი. გარდა ამისა, რამდენად შესაძლებელია იმ სწავლის შედეგებით სწავლის შედეგზე გასვლა, რომლებიც წარმოდგენილია მოცემული სასწავლო კურსის სილაბუსში. დაწესებულების წარმომადგენელმა, ვატო ლეჟავამ განაცხადა, რომ „ანთროპოლოგიის“ სასწავლო კურსი არის ზოგადსაუნივერსიტეტო საგანი. შესაბამისად, აღნიშნული კურსის სილაბუსი მოწმდება ყველა აკრედიტაციის პროცესზე, რომელსაც აკრედიტაციის საბჭო ყოველთვის ადეკვატურად აფასებს. მისთვის გაუგებარია მოცემული შეკითხვის არსებობა აღნიშნულ კურსთან დაკავშირებით. საბჭოს წევრმა, ლაშა ჩხარტიშვილმა კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რატომ არ არის მომიჯნავე ხელოვნების ერთსემესტრიანი კურსი ან „Performing art“-ი პროგრამაში. ვატო ლეჟავამ განაცხადა, რომ არჩევითი კრედიტები არის იმ საგნებიდან, რომლებიც უნივერსიტეტში ზოგადად ისწავლება კერძოდ, დაწყებული „ბიზნესის ადმინისტრირებით“ და დამთავრებული „ფიზიკით“. გარდა

ამისა, ეს პროგრამა არ არის თავისუფალი მეცნიერებების პროგრამა. ირენა პოპიაშვილმა აღნიშნა, რომ „Performing art“-ი არ არის ცალკე არჩევითი საგანი პროგრამაში, თუმცა „ვიზუალური ხელოვნების სტუდიის“ სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები არ იზღუდებიან „Performing art“-ში. მაგალითად, შუალედური გამოფენის დროს ერთ-ერთმა მეორე კურსელმა სტუდენტმა ამ საგნის ფარგლებში გააკეთა Performing-ი. საბჭოს წევრმა მამუკა ხუსკივაძემ კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მისი თქმით, უნივერსიტეტმა გამართა შეხვედრა თვისებრივი კვლევის ფარგლებში შემოქმედებითი სფეროს ზოგიერთ წარმომადგენელთან. მას აინტერესებდა, რამდენად არის ასახული უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებულ დოკუმენტში შესაბამისობა კურსდამთავრებულების სწავლის შედეგებსა და დამსაქმებელთა მოთხოვნებს შორის. გარდა ამისა, ამ დოკუმენტში არის თუ არა შეზღუდული კვლევის გეოგრაფია.

ირინა პოპიაშვილის თქმით, დაწესებულებას გაკეთებული აქვს რეგიონებში გამოფენა. მაგალითად, ქუთაისში, თელავის მუზეუმში, გორში, ზესტაფონში და ა.შ. ვატო ლეჟავამ განაცხადა, რომ დასაქმების კვლევა არ იქნება სრულყოფილად რელევანტური. ის უკუკავშირი, რომელიც მიღებული აქვს უნივერსიტეტს გალერისტებისაგან და მუზეუმების თანამშრომლებისგან, ასახულია პროგრამაში.

ექსპერტმა ნინო სანადირაძემ განაცხადა, რომ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, ამ მიმართულებით დასაქმებულთა მაჩვენებელი დიდი არ არის, თუმცა ხშირია კურსდამთავრებულთა გამოფენები და შეხვედრები როგორც საქართველოში, ისე საქართველოს ფარგლებს გარეთ. ვატო ლეჟავამ აღნიშნა, რომ სტუდენტთა დაკვირვების შედეგად გამოკვეთა საკუთარი თავის წარდგენის უნარები საგამოფენო სივრცეში. დაწესებულება ხშირად იყენებს საგამოფენო სივრცეებს იმისათვის, რომ სტუდენტმა შეძლოს საკუთარი თავის გალერეაში გამოფენაზე წარდგენა. უნივერსიტეტმა განახორციელა ინვესტიცია და პროგრამაზე გაიხსნა საგამოფენო სივრცე, რომელიც აკმაყოფილებს ყველა სტანდარტს. მამუკა ხუსკივაძეს აინტერესებდა, უნივერსიტეტის მარეგულირებელ დოკუმენტები შეიცავს თუ არა სილაბუსის შედგენის მომზადების რაიმე ინსტრუქციას. გარდა ამისა, რამდენად მიზანშეწონილია საბაკალავრო სწავლების საფეხურზე ძირითად ლიტერატურაში იყოს სამეცნიერო სტატიები. ვატო ლეჟავამ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში არსებობს სილაბუსის სტანდარტი, თუმცა პროფესორი არ არის ვალდებული სილაბუსის შედგენისას აღნიშნული სტანდარტით იხელმძღვანელოს. არის რამდენიმე საგნის სილაბუსი, რომელიც ლიტერატურის სახით შეიცავს სტატიებს. დაწესებულება აღნიშნულ ნაწილში პრობლემას ვერ ხედავს. მისი თქმით, კარგი იქნება თუ სტუდენტი გაეცნობა სტატიას ანალიტიკური უნარების ჩამოყალიბებისთვის. საბჭოს წევრმა ერმილე მესხიამ კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მისი თქმით, „კრიტიკული აზროვნება ვიზუალური ხელოვნების“ სილაბუსში კერძოდ, სწავლის შედეგში მითითებულია შემდეგი: „აფასებს მხატვრული გამომსახველობის ფორმალური თვისებები როგორ ზემოქმედებს მაყურებელზე“. შეფასების ნაწილში არ არის გამოკვეთილი ეს შედეგი როგორ ფასდება. მას აინტერესებდა, როგორ ხდება აღნიშნული სწავლის შედეგის შეფასება. ირენა პოპიაშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნული საგანი სახელოვნებო ხელოვნების ისტორიის საგნების გავლის შემდეგ ისწავლება. ამ საგნის ფარგლებში ხშირია ვიზიტები საგამოფენო დაწესებულებებში და შეფასება ხორციელდება კონკრეტულ გამოფენებსა და მაგალითებზე. ერმილე მესხიას თქმით, პროგრამის სასწავლო კურსები პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე არის შემოქმედებითი მიმართულების საგნები. სასწავლო კურსები, რომლებიც შემოქმედებით პროცესს უკავშირდება დასწრება როგორც შეფასების კომპონენტი არ არის, თუმცა თეორიული მიმართულების ერთ-ერთ საგანში კერძოდ, „კრიტიკული აზროვნება ვიზუალურ ხელოვნებაში“ პედაგოგს გაწერილი აქვს დასწრების შემთხვევაში რამდენი ქულა იწერება. მას აინტერესებდა, რამდენად შესაბამისობაშია აღნიშნული საქართველოში მოქმედ ნორმატიულ აქტთან კერძოდ, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანებასთან, რომელიც არეგულირებს საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესს.

ვახტანგ ლეჟავამ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის პოლიტიკა არის ის, რომ დასწრება არ იყოს შეფასების კომპონენტი. მოცემულ შემთხვევაში საგნის შინაარსიდან გამომდინარე ლექტორმა ასე ჩათვალა.

ირენა პოპიაშვილის თქმით, სტუდენტთა დასწრება აღნიშნული საგნის ფარგლებში სავალდებულოა კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის.

ერმილე მესხიამ განაცხადა, რომ სასწავლო კურსების „ვიზუალური ხელოვნების სტუდია I“ და „ვიზუალური ხელოვნების სტუდია II“ მიზანი იდენტურია. გარდა ამისა, სასწავლო კურსების „ხატვის სტუდია 1“ და „ხატვის სტუდია 2“ მეოთხე და მეხუთე სწავლის შედეგი იდენტურია. მას აინტერესებდა, არის თუ არა ეს ტექნიკური შეცდომა.

ანკა თაბუკაშვილმა აღნიშნა, რომ ეს არ არის ტექნიკური შეცდომა და არ ეწინააღმდეგება უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებსა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანებას იმიტომ, რომ დასაშვებია იდენტური სწავლის შედეგი ორ საგანში იყოს. ერმილე მესხიამ განაცხადა, რომ „პოლიტიკური იდეოლოგიების“ სასწავლო კურსის სილაბუსში კერძოდ, მიზანში წერია შემდეგი: „კურსის გავლის შემდეგ სტუდენტებმა უნდა შეძლონ აჩვენონ იდეოლოგიასთან დაკავშირებული შეხედულებების და მათი ცხოვრებაში რეალიზაციის პროგნოზირების უნარი“. სწავლის შედეგში და შეფასების კომპონენტში არ არის მოცემული ის მეთოდები თუ როგორ უნდა მიაღწიოს სტუდენტმა აღნიშნული მიზანი. მარიამ მოკიას თქმით, შეხედულებების და მათი ცხოვრებაში რეალიზაციის პროგნოზირების უნარის გამომუშავება ხდება დავალებების ფორმატში. შესაბამისად, აღნიშნული უნარის გამომუშავების პრობლემა დღის წესრიგში არ დგას.

ერმილე მესხიამ აღნიშნა, რომ „პოლიტიკური იდეოლოგიების“ სასწავლო კურსში 15 კვირა სემინარს აქვს დათმობილი და მეთოდებში არ ჩანს ლექცია. მას აინტერესებდა, რა არის ამის მიზეზი.

ვახტანგ ლეჟავამ განაცხადა, რომ ამ საგნის მიზანი არ არის ის, რომ სტუდენტი პოლიტიკურ ანალიტიკოსად მოამზადოს. ეს საგანი არის იმისათვის, რომ სტუდენტმა ტრანსფერულად ანალიზის, პროგნოზირებისა და დისკუსიის უნარები გამოიმუშაოს. აღნიშნულ საგანში ლექცია-სემინარები კომბინირებულად არის.

საბჭოს წევრმა, ნინო ღაღანიძემ სადიპლომო პროექტთან დაკავშირებით კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მისი თქმით, „სადიპლომო პროექტის“ სილაბუსში წერია შემდეგი: „პროექტი შეიძლება იყოს ინტერდისციპლინარული და გულისხმობდეს მასში განსხვავებული სპეციალობისა და პროფილის ავტორების ჩართულობას“. მას აინტერესებდა, როგორ ფასდება თითოეული ავტორის შეტანილი წვლილი სადიპლომო პროექტის შემუშავებისას.

ვატო ლეჟავამ აღნიშნა, რომ სადოქტორო პროექტს ერთზე მეტი ავტორი არ ჰყავს, თუმცა მას შეუძლია ითანამშრომლოს სხვა ავტორებთან.

ირენა პოპიაშვილმა ხაზი გაუსვა იმას, რომ დაწესებულებაში არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ სადიპლომო პროექტს რამდენიმე ავტორი ჰყოლოდა.

საბჭოს წევრმა, თამარ სირამემ კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მისი თქმით, დასკვნაში წერია შემდეგი: „პრინციპში, პლაგიატის გამოვლენის საჭიროების საკითხი არ დგას, რადგან სტუდენტები ჩართულნი არიან პროცესში და ლექტორებს არ უჭირთ მათი მუშაობის მონიტორინგი, რადგან ლექტორები უშუალოდ მონაწილეობენ პროექტების შექმნაში და აქტიურად აკონტროლებენ პროცესს.“ მას აინტერესებდა, რატომ არ დგას პლაგიატის გამოვლენის საჭიროება პროგრამაზე. გარდა ამისა, მან კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, აქვს თუ არა უნივერსიტეტს პლაგიატის შემოწმების მექანიზმი. საერთაშორისო ექსპერტმა, კოსტას მანტხალოსმა განაცხადა, რომ სტუდენტის მუშაობა პირველიდან ბოლო კვირამდე მკაფიოდ არის ნაჩვენები პროგრამაში. პირს, რომელსაც უწევს პროგრამის ხელმძღვანელობა და სუპერვიზია (ნაშრომის ხელმძღვანელობა), მისთვის მარტივია ვიზუალურ ხელოვნებაში პლაგიატის დანახვა. შესაბამისად, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე არ უნდა იყოს რთული სუპერვიზორის მიერ პლაგიატის დანახვა.

ვატო ლეჟავამ აღნიშნა, რომ დაწესებულებას გააჩნია პლაგიატის მიმართ მკაცრი პოლიტიკა. ყველა სილაბუსში წერია, რომ პლაგიატიზმი დაუშვებელია. პლაგიატის შემოწმება ხდება ექსპერტების და ვიზუალური დაკვირვების შედეგად. სტუდენტის მიერ წარმოდგენილი პროდუქტი შეიძლება იყოს წერილობითი სახითც. პლაგიატის აღმოჩენაზე პასუხისმგებელი როგორც სპეციალური კომისია, ისე ხელმძღვანელი და ლექტორი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:32

დასრულები სდრო: 16:19

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „ვიზუალური ხელოვნების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „ვიზუალური ხელოვნების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- განახლდეს ცალკეულ სასწავლო კურსებში სავალდებულო ლიტერატურა წლების მითითებით;
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „პოლიტიკური იდეოლოგიები“ მიზანი შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის შედეგებთან და შეფასების კომპონენტებთან;
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსების „ვიზუალური ხელოვნების სტუდია 1“, „ვიზუალური ხელოვნების სტუდია 2“, „ხატვის სტუდია 1“ და „ხატვის სტუდია 2“ სასწავლო კურსის მიზანი სწავლის შედეგები გადაიხედოს და გასწორდეს გადაფარვის კონკრეტული შემთხვევები;
- სილაბუსში „ფოტოგრაფიის სტუდია“ კურსის მიზანი და შინაარსი მოვიდეს შესაბამისობაში დაემატოს არჩევითი კურსი ვიზუალური ხელოვნების მომიჯნავე ხელოვნების სინთეზურ დარგებში;
- სადიპლომო პროექტის (ვიზუალური ხელოვნება) სილაბუსში გადაიხედოს და დაზუსტდეს თავად სადიპლომო პროექტის ავტორის/ავტორთა საკითხი;

- რეკომენდებულია უსდ - მ შეიმუშაოს აკადემიური კეთილსინდისიერების დადგენის მექანიზმი;
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „კრიტიკული აზროვნება ვიზუალურ ხელოვნებაში“ შეფასების კომპონენტი „დასწრება“ გადაიხედოს და შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებასთან.

2. მეორე საკითხი: შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "არქიტექტურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	არქიტექტურა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N1, 10.01.2018
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	არქიტექტურის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0731 არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	კახა ბენდუქიძის კამპუსი დავით აღმაშენებლის ხეივანი N. 240 თბილისი 0159 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი ნინო ხაბეიშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "არქიტექტურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში პროგრამის შემოწმება განხორციელდა ექსპერტებისთვის წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე. მისი თქმით, პირველი და მეორე სტანდარტი სრულად, ხოლო მეოთხე სტანდარტი 4.1 კომპონენტთან მიმართებით შეფასდა შესაბამისობაში მოთხოვნებთან. ამრიგად, ყველა სტანდარტი შეფასდა შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, თუმცა დასკვნაში მოცემულია ერთი რეკომენდაცია და ერთი რჩევა. რეკომენდაცია გაიცა 1.2 ქვესტანდარტთან მიმართებით კერძოდ, რეკომენდებულია პროგრამის სწავლის მე-6 შედეგში აისახოს, რომ კურსდამთავრებულს შენობის დაპროექტება და არქიტექტურული პროექტირებისათვის საჭირო კვლევის განხორციელება შეუძლია წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. დაწესებულება არ იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას და მიაჩნია, რომ არსებული სწავლის შედეგი არ ეწინააღმდეგება როგორც დარგობრივ მახასიათებელს, ისე ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოს.

ნინო ხაბეიშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებას გააჩნია დისკრეციული უფლებამოსილება სწავლის შედეგის განსაზღვრასა და მისი ფორმის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, თუმცა საბაკალავრო პროგრამაზე განსაზღვრული კომპეტენცია არ უნდა გაუთანაბრდეს მაგისტრატურის დონის კომპეტენციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, ვახტანგ ლეჟავა მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. 1.2 ქვესტანდარტთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პროექტები იყოფა სირთულის მიხედვით. ლოგიკურია, რომ ბაკალავრის სტუდენტს ყველა პროექტის გაკეთება არ შეუძლია დამოუკიდებლად და მას სჭირდება ხელმძღვანელობა, თუმცა არის ისეთი პროექტები, რომლებსაც სტუდენტი დამოუკიდებლად აკეთებს. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ დარგობრივი მახასიათებელი არის მინიმალური სტანდარტი. დაწესებულებას აქვს ის კომპეტენცია, რომ პროგრამას მიეცეს მაღალი სტანდარტი. ექსპერტები ნომინალურად და არა შინაარსობრივად ეყრდნობიან დარგობრივ მახასიათებელს. ექსპერტების მიერ ნომინალური მსჯელობა არ არის ამ რეკომენდაციის სასარგებლოდ. მისი თქმით, პროგრამის სტუდენტები შეძლებენ გარკვეული პროექტების დამოუკიდებლად მართვას როგორც ამოცანისა და განხორციელების, ისე ეტაპების დაგეგმვის თვალსაზრისით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა ექსპერტებს მიმართა, რომ დაწესებულების მიერ 1.2 ქვესტანდარტთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციის გაზიარება-არგაზიარების საკითხთან დაკავშირებით მეტი ინფორმაცია მოეწოდებინათ საბჭოს წევრებისათვის. ნინო ხაბეიშვილმა განაცხადა, რომ არქიტექტორთა დიდმა ნაწილმა ჩათვალა, რომ საპროექტო დავალებებისათვის შეგროვილი ინფორმაციის ანალიზზე დაყრდნობით და კვლევის მეთოდების გამოყენებით წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად შეუძლებელია მხოლოდ ბაკალავრის დონის კურსდამთავრებულმა შექმნას და გააკეთოს აქტუალური პროექტი. გოდერძი ბუჩაშვილმა კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, აქვს თუ არა ჩარჩო დოკუმენტთან პროგრამას ხარვეზი და გადის თუ არა ის სწავლის შედეგზე. ნინო ხაბეიშვილმა აღნიშნა, რომ კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის ნაშრომის განხორციელება ბაკალავრს შეუძლია წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. პროგრამა გადის სწავლის შედეგზე. დაწესებულების წარმომადგენელმა, ვატო ლეჟავამ განაცხადა, რომ ჩარჩო დოკუმენტი ადგენს მინიმალურ სტანდარტს, რომლის ქვემოთ პროგრამას არ შეუძლია არსებობა, ე.ი დაწესებულება ვერ მიაწიჭებს სტუდენტს "არქიტექტურის" მიმართულებით ხარისხს. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ სტუდენტს ენიჭება არა მაგისტრის, არამედ ბაკალავრის ხარისხი. შესაბამისად, პროგრამის დამთავრების შემდეგ სტუდენტს შეუძლია დამოუკიდებლად პროექტის მართვა.

ქეთევან ქუთათელაძემ კითხვა დაუსვა პროგრამის ხელმძღვანელს. მას აინტერესებდა, რომელი საგნებით გადის კურსდამთავრებული პროგრამის ისეთ შედეგზე, რომელიც გულისხმობს არქიტექტურული პროექტირებისათვის საჭირო კვლევის განხორციელებას. პროგრამის ხელმძღვანელმა ჯესი ვოგლერმა აღნიშნა, რომ არქიტექტურული აზროვნების კურსების ციკლი სხვადასხვა დოზით ემსახურება კვლევითი უნარების განვითარებას. „არქიტექტურის სტუდიათა ციკლის“ სასწავლო კურსის ფარგლებში დავალებების შესრულებით ხდება კვლევითი უნარების ინკორპორირება. გარდა ამისა, ფუნდამენტური ისტორიის კურსებში განხილულია კვლევის მექანიზმები. ვატო ლეჟავამ ხაზი გაუსვა იმას, რომ წინა სადიპლომო საგნის ფარგლებში ხდება მხოლოდ დასაპროექტებელი ობიექტის წინასწარი კვლევა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:44

დასრულების დრო: 16:49

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "არქიტექტურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "არქიტექტურის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

3. მესამე საკითხი: შპს თავისუფალი უნივერსიტეტის "შენობის სისტემების ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	შენობის სისტემების ინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N243, 13.12.2019
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	შენობის სისტემების ინჟინერიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0732 მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	242
14	განხორციელების ადგილი	კახა ბენდუქიძის კამპუსი დავით აღმაშენებლის ხეივანი N 240 თბილისი 0159 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი ირმა ღარიბაშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და შპს თავისუფალი უნივერსიტეტის "შენობის სისტემების ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი შედგა 2023 წლის 29 ივნისს. ვიზიტის განმავლობაში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის განვითარების ჯგუფს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ პერსონალს, მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებს, პოტენციურ დამსაქმებლებსა და ბიბლიოთეკის წარმომადგენლებს. მისი თქმით, ექსპერტებმა ვიზიტისას დაათვალიერეს ლაბორატორიები, აუდიტორიები და ბიბლიოთეკა. ვიზიტი წარიმართა კომფორტულ და კონსტრუქციულ ვითარებაში წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერტების მიერ დადგინდა "შენობის სისტემების ინჟინერიის" აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნებთან. ირმა ღარიბაშვილის თქმით, თავდაპირველად პროგრამის მიმართ განისაზღვრა ორი რეკომენდაცია, თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ მოხდა მათი რეკომენდაციით შეცვლა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, ანკა თაბუკაშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, "შენობის სისტემების ინჟინერიის" პროგრამის შემუშავება მოხდა განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით. აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული იყო რეკომენდაცია. კერძოდ, დაწესებულებამ უნდა გააგრძელოს ცენტრთან თანამშრომლობა და დაამატოს დარგობრივი მახასიათებლის პროექტის შემოტანის გავლით კლასიფიკატორში "შენობის სისტემების ინჟინერია". შესაბამისად, ამ პროცესის შედეგად მოხდა კლასიფიკატორში აღნიშნული სფეროს დამატება. დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა სახეცვლილი პროგრამა და დაინიშნა მონიტორინგი განხორციელებული ცვლილებების შემოწმების მიზნით.

პროგრამის ადრინდელი კვალიფიკაცია იყო „მშენებლობის ინჟინერიისა და მენეჯმენტის ბაკალავრი“, 0788 ინტერდისციპლინური – მოიცავს ინჟინერიას, წარმოებას და მშენებლობას, მიმდინარე კვალიფიკაცია - შენობის სისტემების ინჟინერიის ბაკალავრი, 0732 მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:01

დასრულების დრო: 17:08

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს თავისუფალი უნივერსიტეტის "შენობის სისტემების ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწესებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0


გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "შენობის სისტემების ინჟინერიის"

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გეგმურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

საბჭოს სხდომა დასრულდა 2023 წლის 01 დეკემბერს 17:08 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატია რატი



რ. რატიანი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

